ტფილისი

№ 123

კვირა, 13 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 123

კვირა, 13 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირება 6 მან. 50 კაპ.

სოფიო დავითის ასული, იმისი შვილები ელენა დავითის ასული, მიხეილ დავითის ძე ორჯონიკიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—შვილისას, ხოლო დანარჩენნი ძმისას

**ვასილ დავითის ძის ორჯონიკიძისას**

და სთხოვენ მობრძანდნენ ამ თვის ცამეტს მესამე ნაგორნის ქუჩაზედ, სახლი № 14, დილის 10 საათზე, საიდგანაც მიცვალებულის გვამს გაასვენებენ ქვაშვეთის ეკლესიაში. (1—85—1)

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

**საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები**

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—9)

კვირას, 13 ივნისს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

**საგანგებო**

**საზოგადო კრება**

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

**„შუამავლისა“**

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად ალ. ნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (3—6.—3)

**ქართული წარმოდგენა.**

კვირას, 13 ივნისს, 1899 წ.

ნიკიტინის ცირკის შენობაში (გოლოვინის პროსპექტი) სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

**ქორ-ოღლი**

ტრაგ. 4 მოქმ. ანტონოვისა.

დასასრულ გაიმართება

**ლ ე კ უ რ ი**

დასაწყისი $8^1/_2$ საათ.

გამგე ა. ბაქრაძე. (2—უ.—2).

კვირას, 13 ივნისს, შუადღის 1 ლ საათზედ ბ. მთავარმართებლის სასახლეში მოხდება უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების წევრთა

**საზოგადო კრება.**

კრების საგანია: განყოფილების 1898 წლის მოქმედებისა და სხვა საქმეთა განხილვა. (2—2)

დღეს, 13 ივნისს, დილის 11 საათზედ გაიხსნება ქართულ **დრამატიულ საზოგადოების** კანტორა (კანცელარია და წიგნთსაცავი) სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ, რომელსაც აკურთხებენ დღეს ვე. მსურველთ შეუძლიანთ დაესწრონ. (1—1)

**პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ.)

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნენ: ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელე თავ. მიხეილ დადიანი—ქუთაისის გუბ. ზუგდიდის მაზრის მე-3 განყოფილების მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებლად; ქუთაისის მაზრის მე 2 განყოფილების მომრიგებელ შუამავლის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. ნაკაშიძე—ოზურგეთის მაზრის 1 განყოფილების მომრიგებელ შუამავლის თანამდებობისავე აღმასრულებლად; და სამსახურს გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი თავ. სუმბათაშვილი—ქუთაისის მაზრის მე-2 განყოფილების მომრიგებელ შუამავლად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ავადმყოფობისა გამო რაჭის მაზრის 1 განყოფილების მომრიგებელი შუამავალი თავ. ჩიჩუა.

## ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი სამშაბათს, 15 ივნისს, აპირებს წასვლას სამკურნალო წყლებზედ ჩრდილოეთ კავკასიაში.

⁂ შემდეგი მორიგი კრება ტფილისის ქალაქის საბჭოსი ხვალ, 14 ივნისს, იქმნება. საბჭომ უნდა განიხილოს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის წინადადება ცხენის რკინის გზის საწარმოებლად გაცემის შესახებ.

⁂ გუშინ, 12 ივნისს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა შიხი ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა, ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ გაბაშვილის მოკვლა. პალატამ პირველის სამის ბრალდებულის შესახებ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი: ყოველ უფლება-ღირსების აყრა და 4 წლის კატორღა, იგივე სასჯელი მიუსაჯა ტერ-შმოვანოვსაც, რომელსაც ოლქის სასამართლოს-მიერ გადაწყვეტილი ჰქონდა 8 თვით დატუსაღება.

⁂ ეგზამენები ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიაში უკვე დამთავრდა. წელს ამ გიმნაზიის შვიდი კლასი ოთხმა ქართველმა დაასრულა: ნ. მესხიმ (ვერცხლის მედლით), თ. ჯამბაკურ-ორბელიანმა, ა. მელიქიშვილმა, ს. ხელაძემ. ხოლო ამავე გიმნაზიის მერვე დამატებითი კლასი დაუმთავრებია შვიდ ქართველს: ნ. ქიტუაშვილს, თ. სულხანიშვილს, ნ. გძელიშვილს, მ. მელიქიშვილს, ს. პაატაშვილს, დ. ისარლიშვილს და ო. კორინთელს.

⁂ ტფილისის რეალურ სასწავლებელში წელს სწავლა 19 კაცმა დაამთავრა, ამათში 9 რუსია, 3 სომეხი, 1 პოლონელი და 5 ქართველი: კონსტ. ძნელაძე, თავ. ილია ჯანდიერი, თომა მოსულიშვილი, გიორგი ფორაქიშვილი და სოლომონ სარაჯიშვილი.

⁂ ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში და ტფილისის ვაჟთა გიმნაზიაში ეგზამენები გუშინ, 12 ივნისს დამთავრდა.

⁂ წელს ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიაში სწავლა 19 ქალმა დაამთავრა; ამათში 13 სომეხია, 4 რუსი, 1—ქართველი და 1 ჩეხელი.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო, როგორც გაზეთები იუწყებიან, ინჟენერს მ. კ. სერგეევსა ჰგზავნის სოჭის ოლქში ადგილობრივ სამკურნალო წყლების გამოსაკვლევად.

⁂ ტფილისში არსდება სამარხი კასსა. კასსის წევრებად შეუძლიანთ ჩაეწერნენ ტფილისში მცხოვრებნი 21—55 წლისანი.

⁂ ცხეთის ტაძრის განახლებისათვის კ. ლ. ფურცელაძეს და ნ. კ. ფურცელაძეს მოუკრეფიათ ნაცნობებს შორის 31 მანეთი.

⁂ ცხეთის ტაძრის განსაახლებლად შემდგარმა კომიტეტმა გამოსცა რუსულს ენაზედ პატარა წიგნაკი შემდეგის სათაურით: „რით სჯობიან დახურულ იქმნას ცხეთის ტაძარი?“ კომიტეტს წინად დაუდგენია სახურავისთვის იხმარონ ან თლილი ქვა ან კიდევ რკინა. როგორც გამოუანგარიშებიათ, თლილის ქვის სახურავი დაჯდება 57 ათასი მანეთი, ხოლო რკინისა—8 ათასი მანეთი. მაგრამ კომიტეტის წევრს ა. ნატროშვილს ახალი წინადადება შეუტანია: ტაძარი დახურულ იქმნას სპილენძით. თლილის ქვის ნაკლულევანება ის არის, რომ იგი მეტად მძიმეა და გარდა ამისა ამ ქვას არც შეუძლიან ტაძარი სინოტივისა და წვეთისაგან დაიცვას.

ამის შესახებ მიწვეულ ხუროთმოძღვართაც გამოუთქვამთ თავიანთი აზრი, მაგრამ კომიტეტი ვერავითარ დასკვნას ვერ დასდგომია, ამიტომ დაუდგენია გამოსცეს წიგნაკი და დაურიგოს იმათ, ვისაც ცხეთის ტაძრის ბედი აინტერესებს, რათა მათაც შეეძლოთ თავიანთი აზრი წარმოსთქვან ამავე საგნის შესახებ. წიგნაკი მსურველთ შეუძლიან შეიძინონ წერა-კითხვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში.

⁂ 1899 წელსა, ივნისის, 12 დღესა, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობა მოხდა სოფლის მამულებისა, რომლებზედაც გრძელვადიანი სესხი იყო გაცემული. გამოცხადებული იყო გაზეთებში გასასყიდად სულ 235 მამული, ამათგან ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ 6 მამული, რადგან დანარჩენთა ხვედრი გარდასახადი ვადაზედ იქმნა შევსებული. აქედგან გაიყიდა ხუთი მამული, დარჩა ხელმეორედ ვაჭრობით გასასყიდად, რომელიც მოხდება 30 ივნისს ამა წლისა, ერთი მამული. ხუთ გაყიდულ მამულზე ითვლებოდა ბანკის ვალი, თავნი და სარგებელი სულ 16,833 მან. 18 კ., ხოლო გაიყიდა 19,913 მან.

⁂ როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა გადასდო 1000 მანეთი სამეურნეო საზოგადოებასთან სასტატისტიკო ბიუროს დასაარსებლად. ამ საგნის შესახებ, სამეურნეო საზოგადოების საბჭოს გუშინ წინ, 11 ივნისს, ჰქონდა ლაპარაკი ბიუროს დაარსების შესახებ ამა წლის შემოდგომაზედ. ბიურო გამოსცემს ყოველთვიურ ბიულეტენს ამინდის, ნათესობის, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა, მაზანდისა და სხვათა შესახებ.

⁂ როგორც გაზ. „კავკ.“-ი იუწყება, ამ ცოტა ხანში ჩამოვლენ რუსეთიდგან საქართველოს ძველის საეკკლესიო მხატვრობის შესასწავლად აკადემიკოსი მ. ვ. ნესტერევი და მხატვარი ვ. დ. ზამირაილო.

⁂ როგორც გაზ. „კავ.“-ს ატყობინებენ, სეტყვას ამას წინად გორის მაზრის ოქონისა და ატოცის სოფლის საზოგადოებისათვის 100,000 მან. ზარალი მიუყენებია. სეტყვა 8 ივნისს, „ნორ-დარის“ სიტყვით, დუშეთის მაზრაშიაც მოსულა. ზარალი იქაც დიდია თურმე.

⁂ როგორც გაზეთები იუწყებიან, ხელ-ახლა აღუძრავთ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმის გარშემო ჭაობები ამოშრობილ იქნასო.

⁂ ამას წინად თელავის მაზრის სოფ. შილდაში მდინარე ჩელთი ძალიან ადიდებულა და დიდი ზარალი მიუყენებია იმ სოფლის ყანების, ვენახების და მინდვრებისათვის. მდინარეს ამას გარდა უმსხვერპლნია 30 ცხვარი, 4 ძროხა და 6 კამეჩი („კავ.“)

⁂ ამ სამის წლის წინად სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხიდგან იქ არსებული სასოფლო ქსენონი სოფ. ბაკურციხეში გადაიტანეს. ეხლა როგორც გაზ „კავ.“ იუწყება, ველისციხის სოფლის საზოგადოებას უთხოვნია საგუბერნიო მთავრობისათვის განკარგულება მოახდინოს, რომ ქსენონის მკურნალმა კვირაში ერთხელ ან ორჯერ ინახულოს ხოლმე ველისციხელი ავადმყოფნი სოფ. ველისციხეშივე. თვით მკურნალი ბაკურციხეში სცხოვრობს. ამასთან საზოგადოებას დაუდგენია თვისის ხარჯით მიიწვიოს ერთი ფერშალი და დაუნიშნოს ჯამაგირი წელიწადში 400 მანეთი.

⁂ სოფ. განთა, (თელავის მაზრა). წელს ვენახებს უხვად ასხია და თუ აბრეშუმის პარკიც კარგ ფასში გაიყიდა, მაშინ ცოტა შეღავათი მიეცემა ღარიბს გლეხ-კაცობას. ეხლა თითქმის ყველას მოჰყავს აბრეშუმი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ წელს, როგორც ამბობენ, ოთხ აბაზიდგან ექვს აბაზზედ მეტად ვერა ჰყიდიან ლიტრა პარკსა, ე. ი. ფუთს 4—5 მანეთად, მაშინ როდესაც შარშან თელავში 15—16 მანეთამდე იყიდებოდა ფუთი. მოგეხსენებათ, თესლს არიგებენ ზაქათლელი სომხები, აგრეთვე ზოგიერთი თელაველებიც, იმ პირობით, რომ ნათოხალი პარკისა დამრიგებელისაა, დანარჩენი-კი მომყვანისა, მაგრამ ამ დანარჩენის გაყიდვაც სხვაგან, ან სხვაზედ არ შეუძლიან, თუ არა იმავე თესლის დამრიგებელზედ. ამის გამო გლეხს ეშინიან, არ დაუვიანდეს პარკი—პეპელა არ გამოვიდეს და ამიტომ ნაკლებ ფასად აძლევს თესლის მომტანს. რა თქმა უნდა, ძლიერ სასარგებლო იქნება, რომ სამეურნეო საზოგადოება გამოჰგზავნიდეს ხოლმე ქიის თესლს.

ამ სოფელში 100 კომლზე მეტი მცხოვრებია და ერთი სკოლაც კი არა აქვთ, ისე როგორც ამ სოფლის მეზობელ სოფლებსაც: აკურას, ბუშეთს და ხოდაშენს. ქების ღირსია მამა ლეონტი ლვინიაშვილი, ვანთის მღვდელი, რომელსაც 30-მდე შეგირდი შეუკრებია და თავისს სახლში ასწავლის. ურიგო არ იქნება მისთვის წაბაძნათ სხვა სოფლის მღვდლებსაც.

*** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის" მე-5 №. შინაარსი ამ ნომრისა: დილა, ლექსი—დ. თომაშვილისა; კვირის სათვალავი (ფრანგულიდგან)—ან. ანას. ამილახვრისა; პირის მარცვლები (დასასრული)—დუარსამ ციცაშვილისა; მგოსანი პუშკინი (რუსულიდან)—მ. დემურიასი; მეზღაური და ოქროს თევზი პუშკინისა (თარგმანი)—რაფ. ერისთავისა; თავგასულობას შედეგი (ფრანგულიდან)—ან. წ—ისა; მთვარე და გიჟი, ლექსი—შ. მღვიმელისა; ახალი თეზეოსი (დასასრული)—ეგ. მ—სა; ძველი საბერძნეთი (შემდეგი) თარგმანი—კოტესი; სამნი ძმანი, ზღაპარი რუსულიდან—ი. ზედგინიძისა; თათრის მეფე გასსანი—ბეს. კაშაძისა; წვრილმანი: ხალხური ლექსი, გამოცანები, აკროსტიხი, ეპიტეზისი, უჯრების ამოცანა, რებუსი და სხვა.

*** როგორც „ტფ. ფურც."-ს სწერენ, 3 ივნისს დუშეთის მაზრაში სოფ. ზეგნაკარის მახლობლად შემდეგი მკვლელობა მომხდარა. ამ დღეს დასახელებულ სოფელში მისვლიან ბ. გაბაშვილის მოურავი მანგიაშვილი და სამი გლეხი. სოფლის მახლობლად ორი გლეხი ჩამორჩენილა და გზას მხოლოდ მანგიაშვილი და გიორგი მწითური გასდგომიან. როდესაც ტყეში შესულან, გამოვარდნილა იქიდგან გლეხი ზაქარია მწითური, მისვარდნია მანგიაშვილს და ხანჯლით მხარში დაუჭრია. დაჭრილს გამოუგლეჯია ხანჯალი გიორგი მწითურისათვის და მჰკრია ზაქარიას, მაგრამ ჭრილობა ვეღარ აუტანია და წაქცეულა. ზაქარია მწითურს არც წაქცეულისათვის დაუნებებია თავი და 12 ადგილას კიდევ დაუჭრია. მანგიაშვილი იქავე გამოსალმებია წუთი-სოფელს. მკვლელობის მიზეზი მტრობა ყოფილა მანგიაშვილსა და ძმათა მწითურთა შორის.

*** სამტრედიიდგან სწერენ „ახ. მიმ."-ს, რომ 10 ივნისს აქ დუქნებს ცეცხლი გაუჩნდათ, ცეცხლს გაუნადგურებია 5 დუქანი თავისს საქონლით.

*** ტფილისში უკვე ჩამოვიდა ფრანგი ჟურნალისტი პოლ გოტტენგინი, რომელიც ფეხით დედამიწის გარშემო მოგზაურობს. ტფილისიდგან მოგზაური სამხედრო საქართველოს გზით რუსეთში წავა და იქიდგან ციმბირში. ბ-ნ გოტტენგინს აზრადა აქვს 16 ივნისს „კრუჟოკის" სადგომში ლექცია წაიკითხოს თავისს მოგზაურობის შესახებ.

*** სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, ტფილისის სათვიზიკო ობსერვატორიის შესანახად, იმ ფულის გარდა, რაც დღემდის ეძლეოდა მას, გადასდოს ხოლმე ხაზინიდგან წელიწადში 1200 მანეთი კიდევ.

*** როგორც „კავკ."-ს ატყობინებენ, გორის მაზრაში კიდაც ბოროტგამზრახველთ გაუქურდავთ ფულის ცახისი წმ. გიორგის ეკკლესია. ქურდებს კარების კლიტე გაუტეხიათ და ისე შესულან შიგ. წაუღიათ ვერცხლის ნივთები. ქურდები ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

5 ივნისი

კრება დაიწყო დილის $10^1/_2$ საათზედ. დარბაზში არც ერთი გამგეობის წევრი არ არის. ბაასი არ იწყება, დრო გადის, თავმჯდომარემ შეაჩერა კრება და მოუცადა გამგეობის წევრთ. გამოცხადდა ერთი მათგანი, შემდეგ ორივე. კრებას საწყენად დარჩა, რომ დანიშნულს დროზე გამგეობა თავისს ადგილზე არ იყო. კრების მდივანმა წაიკითხა წინა დღის ოქმი, რომელიც კრებამ დაამტკიცა. განსახილველ საგანთა შორის პირველი იყო კონვერსია.

თ. ნ. ერისთავი. (დირექტორი). კონვერსიის შესახებ ბაასი აქ ისე არ დააყენეს, როგორც უნდა დაეყენებიათ. ვითომც ჩვენ გვქონდა უფლება და შეძლება კონვერსია მოგვეხდინა და ჩვენის დაუდევრობის გამო არ მოვახდინეთ; მაგრამ ეს მართალი არ არის. პირველად კონვერსიის მოხდენის წესები გამოქვეყნდა 14 აპრილს 1891 წელს. ეს წესები არ ითხოვდა უვადო ფურცლების გამოცემას. ჩვენ გამოვეცით 5% გირავნობის ფურცლები 1891 წლის ივლისში, ასე რომ კონვერსიის მოხდენა ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ ნოემბერში. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ჩვენი 5% გირავნობის ფურცლები ბირჟაზედ გამოვიდა მხოლოდ იანვარში 1892 წელს. ამ დრომდის ჩვენის ფურცლების ფასი ისე დაცემული იყო, რომ კონვერსიის მოხდენა შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნდა. გაიარა რამდენმამე ხანმა, გირავნობის ფურცლების ფასმა აიწია და შესაძლებელი იყო ამ დროს კონვერსია მოგვეხდინა. მაგრამ ამ დროს, 20 მაისს 1892 წ., გამოვიდა იმისთანა წესები, რომელნიც ითხოვდნენ უვადო ფურცლების გამოცემას. უვადო ფურცლების გამოცემის უფლება-კი ჩვენ არ გვქონდა, ამის გამო კონვერსია ვერ მოვახდინეთ. მართალია ა. თ. ნანეიშვილმა წარმოადგინა აქ საბუთი, რომლის ძალითაც თითქო გვეძლეოდა უფლება უვადო ფურცლები გამოგვეცა 1893 წ., მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ უვადო ფურცლების გამოცემა იწვევს ბანკის წესდების გამოცვლას და ეს გამოცვლა-კი 85 §-ის ძალით მოხდება მაშინ, როცა კრებას დაესწრება ორი მესამედი კრების წევრთა, ხოლო 1893 წლის კრებას დაესწრო სულ 371 წევრი, რომელნიც კანონიერს კრებას ვერ შეადგენდნენ და რადგან კრება კანონიერი არ იყო, ამიტომ მისი გარდაწყვეტილებაც უკანონოდ ჩავთვალეთ და ამის გამო არც ვიშუამდგომლეთ ფინანსთა მინისტრის წინაშე.

დ. ბ. ხელთუფლიშვილი. 1890 წლამდის ხმარებაში იყო დიდი უმრავლესობა 6% გირავნობის ფურცლებისა. საჭიროდ დაინახეს გაეუქმებინათ 6% ფურცლები და მათ მაგიერ გამოეცათ 5%, ე. ი. მოეხდინათ კონვერსია, რის გამოც პეტერბურგში მოხდა კრება საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, რომელთაც 14 აპრილს 1891 წ. დაადგინეს კონვერსიის წესები. უნდა ვთქვათ, რომ ბანკი არის შუამავალი თანხის პატრონისა და მსესხებლის შორის. კონვერსიის მოხდენის დროს ბანკის სარგებელი რჩება უწინდელი, მხოლოდ % ვალისა მცირდება და ამით შეღავათი ეძლევა მსესხებელს. პირველად მოახდინეს 71 მილიონის კონვერსია და ჩვენმა ბანკმა არ ისარგებლა ამ შემთხვევით. ვთქვათ მაშინ ვერ შეიძლო ჩვენმა ბანკმა კონვერსიის მოხდენა; მაგრამ რა ჰქნა შემდეგ წელიწადს, როცა მეორე კონვერსია მოხდა და მალე მესამეც—უკანასკნელი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო სახელმწიფო ბანკმაც და მოახდინა 202 მილიონის კონვერსია? ჩვენს ბანკს მაშინ მხოლოდ სამი მილიონის ფურცლები ჰქონდა და ადვილად შეეძლო სისრულეში მოეყვანა საზოგადო კრების გარდაწყვეტილება. მაგრამ გამგეობამ არ ისარგებლა ამ ბედნიერის შემთხვევით, იგი უსაქმურობდა და მსესხებლებს ამით ასი ათასი მანეთი აზარალა. თ. ერისთავი ამბობს, რომ ჩვენის გირავნობის ფურცლების ფასი მაშინ მცირე იყო და კონვერსიის მოხდენით მსესხებლები ბევრს იზარალებდნენო; მაგრამ ეს მოსაზრება სრულიად უსაფუძვლოა (აქ მოჰყავს 1892, 93, 94 წლების სტატისტიკური ცნობები, საიდანაც სჩანს, რომ ფასი 5% გირავნობის ფურცლებისა კარგი იყო, ხოლო 6%-ისა შედარებით ნაკლები, რაიცა უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ მყიდველები დარწმუნებული იყვნენ კონვერსიის მოხდენაში, ე. ი. რომ 6% ფურცლების მაგიერ გამოიცა 5%-იანიო); ვთქვათ ჩვენს ფურცლებს მაშინ ნაკლები ფასი ჰქონდათ; ამ შემთხვევაშიაც ჩვენი მსესხებლები ნაკლებს იზარალებდნენ, ვიდრე მაშინ, როცა კონვერსია არ მოახდინეს. ამასთან არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ჩვენი ბანკი თავისს 6% გირავნობის ფურცლებით საუბედუროდ გამორიცხული იყო მთელს იმპერიაში; ამით ნდობას იკარგავდა რუსეთის მდიდარ კაცებისას, რომელთაც, რასაკვირველია, არ იციოდნენ ის გარემობა, რომ ჩვენის ბანკის სათავეში იმისთანა შესანიშნავი ფინანსისტები სდგანან, რომელთაც არ ესმით, თუ რა არის გადაგირავება და რა არის კონვერსია, ან მათ შორის რა განსხვავებაა. კონვერსიასა და გადაგირავების შორის დიდი განსხვავებაა: კონვერსიას ახდენს თითონ ბანკი და ამ დროს არაფერი არ იცვლება, გარდა გირავნ. ფურცლების მეპატრონეთა თანხის %-სა. რაც ამას ხარჯი უნდება, თითონ ბანკი იხდის და შემდეგ მსესხებლებისაგან დაიბრუნებს. სულ სხვაა—გადაგირავება, რომელიც უნდა მოახდინოს თითონ მსესხებელმა: იგი მრავალ წვალების გარდა ითხოვს ბევრს ხარჯს, რაიცა დიდ ტვირთად აწვება მსესხებელს. მიუხედავად იმისა, რომ რევიზორი არა ერთხელა და ორჯელ ამბობს, რომ კონვერსიის მოხდენა საჭიროაო, გამგეობის წევრნი აქამდის არავითარ განსაზღვრულ დასკვნამდის ვერ მისულან და ყოველ ნაბიჯზე ამ საგნის შესახებ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან და ამტყუნებენ. ისინი ამბობენ, რომ კონვერსიის მოსახდენად საჭირო უვადო ფურცლების გამოცემაო; ამით გამოიჩინეს უცოდინარობა იმისი, რომ უვადო ფურცლებისა დადგენილი იყო 1892 წელს, მხოლოდ ფურცლების გასაბათილებლად და 1891 წლის წესით. იგი არ ითვლებოდა უსაჭიროეს მოთხოვნილებად. და როცა გამგეობას მიუთითეს 1893 წლის კრების გარდაწყვეტილებაზე, რომლის ძალით გამგეობას ეძლეოდა უფლება გამოეცა უვადო ფურცლები, მაშინ იგი აცხადებს, რომ ეს კრება კანონიერ რიცხვისაგან არ იყო შემდგარიო, თუმცა არ გვეუბნებიან, სახელდობრ, რამდენი წევრი დაესწრო ამ კრებას და რამდენია საჭირო, რომ კრება კანონიერი იქნეს.

მე ვფიქრობ, რომ გამგეობამ უნდა აღასრულოს საზოგადო კრების ყველა დადგენილება, რადგან ეს კრება არის უმთავრესი ორგანო ბანკისა, ხოლო გამგეობა არის აღმასრულებელი კრების ბრძანებისა, თორემ საზოგადო კრების დადგენილება იქნება სიზიფის მუშაობა. კრება დაადგენს ერთს განჩინებას, შემდეგ მეორეს, მესამეს, ყველა ეს დადგენილება უმოძრავოდ იქმნება ბანკის არხივში და შემდეგ ისევ კრებას დაუბრუნდება.

კ. ნ. ჩიკვაიძე. (თავმჯდომ. გამგეობისა). მე მადლობელი ვარ ბ-ნ ხელთუფლიშვილისა, რომ ასე დალაგებით, სისტემატიურად აგვიხსნა ის, რაც ბევრმა იცოდა, თუმცა, შესაძლებელია, ეს ცოდნა ბევრს ასე გარკვეულად არ ჰქონდეს შეძენილი. მაგრამ მე მაინც უნდა შევნიშნო, რომ გადაგირავება და კონვერსია ვითომც ერთი და იგივე იყოს, მე ეს არ მითქვამს. მე მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ გადაგირავებით მსესხებლების მდგომარეობისათვის შეღავათი მივეცა. უვადო ფურცლების გამოცემა ითხოვს წესდების შეცვლას და წესდების შეცვლისათვის 1893 წლის კრება კანონიერად არ ჩაითვლებოდა, რადგან იმ კრებას დაესწრო მხოლოდ 371 წევრი. (ჩიკვაიძემ გადასცა თავმჯდომარეს 1893 წლის ოქმი).

თ. ბ. ა. თუმანიშვილი. გამგეობა და სხვებიც ბრძანებენ, რომ 1893 წლის კრება უკანონო იყო, რადგან ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ 371 წევრიო; თუ ამ მხრით შევხედავთ ამ საგანს, კრების ყველა განაჩენი, რომელიც-კი 1893 წლამდის მოხდა, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ. მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან სამინისტროს ამ მიზეზით არც ერთი დადგენილება კრებისა დაუკმაყოფილებელი არ დაუტოვებია. მაშ აქ სხვა რაღაც მიზეზია. თუ მაინცა და მაინც გამგეობა ამ გარემოებასა სთვლის მიზეზად, უეჭველია თათბირი ექნებოდა ამისთანა მძიმე და დიდმნიშვნელოვან საგანზე, როგორიც არის კონვერსიის მოხდენა. ამ თათბირზე, უეჭველია ზედამხედველ კომიტეტსაც მოიწვევდა და მოიხმარებდა, და თათბირის ოქმიც ექმნება, გვიჩვენოს ის ოქმი და დავიჯერებთ გამგეობის პასუხს.

თ. ნ. დ. ერისთავი. (დირექტორი). ამ საგნის შესახებ არც ზედამხედველს კომიტეტს და არც გამგეობას არავითარი განაჩენი და ოქმი არა აქვს. (საზოგადოებაში განცვიფრების ნიშნებია).

ა. თ. ნანეიშვილმა წაიკითხა წესდების 99 § და სთქვა, თუ მართლა 1893 წლის კრების განაჩენი უკანონო იყო, მაშ ამავე განაჩენის ძალით გამგეობამ რად უნდა იშუამდგომლოს უვადო ფურცლების გამოცემასა და წარმომადგენლობაზედ?

თავმჯდომარემ კითხვა კონვერსიის შესახებ გამორკვეულად გამოაცხადა და დაადგინა იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე 6% კონვერსიის 5% მოსახდენად.

ე. ს. თაყაიშვილი. გამგეობას, როგორცა სჩანს, კრების განაჩენი ზოგი კანონიერად უცვნია, ზოგი უკანონოდ. ნუ თუ კონვერსიის შესახებ შუამდგომლობა, რომელსაც თითონ რევიზორიც ურჩევს, უკანონო იქნებოდა? შუამდგომლობა რომ აღძრულიყო, ხომ ეს ამოდენა კამათი და საყვედური არ იქნებოდა საზოგადოებაში.

კ. ნ. ჩიკვაიძე. 1893 წელს ზოგიერთ საგანზედ ვიშუამდგომლეთ, ზოგიერთზედ ვერ შევიძელით შუამდგომლობა. ბანკი, თქენ მიერ დაქვეითებული, ზარმაცს მოსწავლეს ჰგავდა, რომელიც ზის ერთ კლასში და ვერ გადადის შემდეგში.

ხმები. დიაღ, ზარმაცის მასწავლებლის ხელში ასე დაემართება.

თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ ჯერი მიდგა დარჩენილ მამულებზეო. აქ გაიმართა მცირე ბაასი, მაგრამ ეს ბაასი კრებამ მოსპო შემდეგის წლის მორიგ კრებამდის; ამ საგნისთვის უკვე ამორჩეული კომისია შეადგენს თავისს მოხსენებას და წარმოუდგენს კრებას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დარჩენილი მამულები.

შემდეგ კრებამ განიხილა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა 1899 წ. კრებამ მცირედის ბაასის შემდეგ გადასწყვიტა: ეს ხარჯთა აღრიცხვა დამტკიცდეს. საზოგადო საჭიროების დასაკმაყოფილებლად მოგება ზედამხედველ კომიტეტის მოხსენებისამებრ ასე განაწილდეს.

წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს 1288 მ. და 65 კ., ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელს—3000 მ., ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელს—19,940 მ., სენაკის სათავად-აზნაურო სკოლას—7004 მან. სულ 31,232 მან. 65 კ., ხოლო 101 § ს ძალით ბანკს შეუძლიან გამოიღოს 22,888 მ. 80 კ., გვაკლდებაო 8343 მ. და 65 კაპ., სთქვა ბ-ნ ლ. ო. ლოლუამ. ამას გარდა 1889 წელს საზოგადო კრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ დაადგინა: თავად-აზნაურობის წინამძღოლი თ. ს. გ. წერეთელს წარმომადგენლობისათვის ეძლიოს ყოველ წლივ 3,000 მან. და თავ. აკაკი წერეთელს 1500 მ. პენსიასავით. მაგრამ აქამდის ეს ფული ვერ მიიღეს: თ. ს. გ. წერეთელმა მიიღო დღემდის მხოლოდ 26,733 მან. და თავ. აკაკი წერელმა 4,937 მან.

კრებამ, ეს მოხსენება რომ მოისმინა, შემდეგი დაადგინა: მოხსენება ზედამხედ. კომიტეტისა დამტკიცდეს იმ დამატებით, რომ გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს და თ. აკ. წერეთელს 1899 წლის პირველ იანვრიდგან მიეცეთ, რაც გადაწყვეტილია, მოთხოვნილებისამებრ, ხოლო რაც პირველ იანვრამდის ერგებოდათ, ეს ჯამი განაწილდეს სამად და სამი წლის განმავლობაში მიეცეთ.

მ. ქ. ღარახველიძე. ბატონებო, რომ იძახით, მიეცეს, მიეცეს! რატომ იმას კი არ იკითხავთ, საიდგან მიეცეს? რატომ ჯერ წყაროს არ უჩვენებთ და მერე არ გასცემთ. ეს ხომ ენუქას ანდერძს მოგვაგონებს. მე ვითხოვ, ჩემი აზრი მდივანმა ოქმში შეიტანოს, რომ სკოლებს გარდა სხვას არაფერი არ მიეცეს იმ დრომდის, ვიდრე ბანკს მოგება არ მოემატება, თორემ შეიძლება მაგ სკოლებსაც მოვუსპოთ არსებობის წყარო.

შემდეგ კრებას მოხსენდა მრავალი თხოვნა სხვა-და-სხვათაგან, მაგრამ უფულობისა გამო ყველას უარი უთხრეს. მხოლოდ თ. ა. ფალავას თხოვნა იქმნა შეწყნარებული. თ. ფალავას 10 წელიწადი ემსახურნია დამფასებლად ქუთაისის ბანკში, ახლა მეტად დაუძლურებულია, გალარიბებული და შრომა აღარ შეუძლიან.

## საზოგადო კრება კავკავის ქართველებისა.

6 ივნისს კავკავის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" დარბაზში მოწვეული იყო აქაური ქართველი საზოგადოება, რომელსაც მოხსენდა სარევიზიო კომისიის მიერ განხილული სკოლის საქმეები 1896 და 1897 წლებისა. სარევიზიო კომისიის მოხსენება დამტკიცებულ იქმნა საზოგადო კრების მიერ. წარსულ 1898 წლის საქმეების განსახილველად არჩეულ იქმნენ სარევიზიო წევრებად მ. ინასარიძე, მ. კ. მამაცაშვილი და ილია მოსულიშვილი.

ამავე დღეს საზოგადო კრებას კავკავის ქართველებისას მოხსენდა დასკვნა სარევიზიო კომისიისა საეკლესიო კომიტეტის მოქმედების შესახებ. მკითხველებმა უკვე იციან, რომ შარშან ზაფხულში კავკავის ქართველობამ აღირჩია ეკკლესიის ამშენებელ კომიტეტში თორმეტი კაცი, რომელთაც ისე თავგამოდებით და ბეჯითად იმოქმედეს, რომ სულ მცირე ხანში მოიყვანეს სისრულეში ისეთი რთული საქმე, როგორიც არის ეკკლესიის აშენება. სარევიზიო კომისიამაც, რასაკვირველია, დაინახა ეკკლესიის ამშენებელ კომიტეტის ერთგული და უანგარო შრომა, და სთხოვა საზოგადო კრებას მადლობა გადაეხადათ საეკკლესიო კომიტეტის წევრთათვის, რომელიც დიდის სიამოვნებით შესრულებული იქმნა საზოგადო კრების მიერ. სარევიზიო კომისიას მიუქცევია ყურადღება აგრეთვე ერთის-არა სასიამოვნო გარამოებისათვის, რომელიც გამხდარა მიზეზად, რომ კომიტეტის ზოგიერთ წევრთა შორის ჩამოვარდნილა შური და უსიამოვნობა. ეს გარემოება ყოფილა ის, რომ ერთს წევრს საეკლესიო კომიტეტისას უმოქმედნია ისე, რომ არ დაუცავს ფორმალური წესიერება საზოგადო საქმეში, რომლის წინააღმდეგი შექნილა რამდენიმე სხვა წევრი და საქმე მეტად გამწვავებულა. ამ წევრს საეკლესიო კომიტეტისას შეუძენია საეკლესიო სამკაულები, კანკელი და სხვა მოწყობილება ეკლესიისა თვისს მიერ შეკრებილის ფულიდგან და მასთან ანგარიშით ვალიც დასდებია. საზოგადო კრებამ სარევიზიო კომისის მოხსენების თანახმად დაადგინა მიეცეს ანგარიშის მიხედვით, ეკლესიის შემოსავლიდგან ნაწილ-ნაწილად ის ვალი, რაც დასდებია ეკლესიის სამკაულების შეძენის დროს. ამასთან საზოგადო კრებამ მოიწონა სარევიზიო კომისიის აზრი, რომ შემდეგში კომიტეტის წევრები თითოეულად უნდა ჰმოქმედებდნენ ისე, როგორც მოიწონებს უმრავლესობა, და არა ისე, როგორც მხოლოდ მათი პირადი სურვილია.

საზოგადო კრებას ხელმძღვანელობას უწევდა სამზრუნველო კომიტეტის მდივანი ბ-ნი პ. ა. გოთუა. ზემოდ დასახელებულის საქმეების მოსმენის შემდეგ ბ-ნმა პ. ა. გოთუამ აღძრა საზოგადოებაში ის საკითხი, რომ საჭიროა არჩეულ იქმნას სკოლის სამზრუნველო კომიტეტის ახალი წევრები, რადგანაც ძველები ბევრი თავს ანებებს და ამით საქმე ცუდად მიდისო. ამიტომ აირჩიეთ ინსტრუქციის მიხედვით მხოლოდ შვიდი კაცი სამზრუნველოს წევრებად, ამასთან გამგე სკოლისა ისეც ითვლება წევრად სამზრუნველოში ინსტრუქციის ძალით და ამიტომ იმისი არჩევა საჭირო არ არისო. ბ-ნმა ტ. კახიძემ, რომელიც სკოლის გამგედ არის, განაცხადა, რომ მე თხოვნა შევიტანე კომიტეტში და ვითხოვე განთავისუფლება სკოლის გამგეობისაგან, კომიტეტმა ჩემი თხოვნა მიიღო და თუმცა პასუხი ჯერ არ ვიცი, მაგრამ, ჩემის აზრით, საჭიროა, რომ სკოლის გამგეც არჩეულ იქმნას საზოგადოების მიერ სამზრუნველო კომიტეტის წევრადაო. ამის შემდეგ არჩეულ იქმნენ სამზრუნველო კომიტეტის წევრებად თავადი ი. მ. ლორთქიფანიძე, პ. ა. გოთუა, თავადი—ერ. გ. სიდამონოვ-ერისთავი, სტ. იაკ. პოპოვი, მ. ე. ინასარიძე, ნ. ი. ფხაკაძე, ი. ვ. მოხლოკელოვი. თავადმა იასონ მერაბის ძემ ლორთქიფანიძემ უარი განაცხადა სამზრუნველო კომიტეტში წევრობისა—საზოგადოებამ ერთხმად სთხოვა დარჩენა კომიტეტში, რადგანაც საზოგადოება კარგად აფასებს იმ შრომას, რომელიც მიუძღვის თავადს ი. ლორთქიფანიძეს აქაურს საზოგადო საქმეებში მოღვაწეობისათვის, მაგრამ მან ვერ დაინახა საჭიროდ დაეკმაყოფილებინა თხოვნა საზოგადოებისა, ამიტომ თავად ლორთქიფანიძის მაგიერ სამზრუნველო კომიტეტის წევრად მოწვეული იქმნება მორიგე კანდიდატი ბ-ნი ნ. გუბნელოვი. შემდეგ კანდიდატებად ითვლებიან ი. გ. შვილევი, კ. ს. გვარმაძე, ი. მ. ჩითაევი, ტ. კახიძე და მ. მამაცაშვილი. ამას გარდა საზოგადო კრებას მოახსენა ბ-ნმა პ. გოთუამ ის შეიწროებული ნივთიერი მდგომარეობა, რომელშიაც არის ჩავარდნილი სასწავლებელი და ის აუცილებელი საქმეები, რომელიც უნა შესრულდეს ამ ზაფხულში: რადგანაც ბევრი სამუშაო სკოლის შენობაში და ეკკლესიაშიაც დაწყებულია, დამთავრებას ითხოვსო. კრებამ სკოლის შენობის დასამთავრებლად და საჭირო საქმეების შესასრულებლად ამ ზაფხულ აღარჩია მ. ვ. ინასარიძე, ი. გუბნელოვი, ს. მეფურნოვი და ისიდორე ელიერდაშვილი, რომელთაც უნდა იხმარონ ღონის ძიება ფულების შეგროვებით აღნიშნულის ნაკლულევანების დასაკმაყოფილებლად.

დამსწრე.

## წერილი ზესტაფონიდგან.

რკინის გზა აღარ ხუმრობს. ეს ყო აგვიხირდა: „სადგურის ახლოს ვაჭრობა არ შეიძლება, სხვა ბინა მონახეთო". მართალია ეს „სხვა ბინა" პირველად ისევ ჩვენთაგანებმა გამოსძებნეს, მაგრამ რკინის გზის განცხადებამ იმათ საკმაოდ გაუმაგრა მხარი და საბოლოოდ ერთად ერთ საბუთად გაიხადეს, რადგანაც სხვა საბუთებს კუდები მომწვარი გამოაჩნდათ. ბაზრობის აღარა ეშველარა; ბ-ნმა გუბერნატორმა მოიწერა: „ხალხს შეეკითხეთ და სადაც მას ჰსურდეს, იქ დარჩეს ბაზარიო"; ხალხის სურვილს კი რკინის გზა გადაეღობა წინ. ამ ხელად რკინის გზამ უფრო უკეთესი საქმე გვიყო. რკინის გზის ლიანდაგი დ. ზესტაფონს ჰყოფს ორნაწილად. ერთის მხრივ გაშენებულია სავაჭრო სახლები, მეორეს მხრით მკვიდრთა სახლ-კარობანი, მაზრის სამმართველო, ყვირილის ბოქაულისა, ნოტარიუსისა და სასამართლოს ბოქაულის კანცელიარიები, სამაზრო ხაზინა, ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა, კერძო სასწავლებელი და სხვა. სავაჭრო სახლების მხარე უფრო დაბლობია, მეორე მხარე კი შემაღლებაა; ამ შემაღლებაზედ შვიდ-რვა ადგილას გაკეთებულია კიბეები, რომლის შემწეობითაც მცხოვრებნი ბაზარში და რკინის გზის სადგურზედ ჩამოდიან. დღეს რკინის გზამ სავაჭრო სახლების მხრიდგან გაავლო ერთი ვერსტის მანძილზედ ორის არშინის სიმაღლე ქვის კედელი, ასე რომ ეს მისავალ-მოსავალი გზები დაიკეტა. წარმოიდგინეთ მცხოვრებთა გაჭირვება და შეწუხება: როცა კედელი დამთავრდება, იმათ ყოველთვის ბაზარში თუ სადგურზედ ჩამოსვლისთვის უნდა გაიარონ ჩვეულებრივზედ ვერსტ-ნახევრით მეტი გზა. ჩვენ გვეგონა, რკინის გზა ჯერ გადასასვლელ ხიდს გააკეთებდა (როგორც, მაგალითად, ტფილისის სადგურში) ერთს ადგილას მაინც, სადაც ოფიციალური ქუჩაა ფოსტასა და მაზრის სამმართველოში მიმავალი და მთელს ბაზართან შემაერთებელი. ის-კი არა, რკინის გზა თურმე მეორე მხრიდგანაც კედელს ავლებს და ამ ასავალ გზებს ყველას ჰშლის. აქვს თუ არა რკინის გზას ამის უფლება? ვთქვათ, ეს ადგილი რკინის გზის კუთვნილებაა, ჩვენ ხელი არა გვაქვს მისს კედელთან, მაგრამ კანონი ხომ გადაჭრით ამბობს, რომ ყველა მესაკუთრეს უფლება აქვს საკუთარ მიწაზედ ააშენოს რაც იმას ესურვება, მხოლოდ ის-კი, რომ ამით მეზობელს ზარალი არ მისცესო. თუ ეს ასეა, მაშ რით აიხსნება რკინის გზის ამგვარი მოქმედება, მით უმეტეს, რომ აქ საქმე შეეხება არა ერთსა და ორს, არამედ მთელ დაბის მცხოვრებთ. ვიკითხოთ, თუ ზემოხსენებულს კანონს არღვევს რკინის გზა, ვინღა უნდა დაიცვას ეს კანონი? აბა იყოს ზესტაფონი ქალაქი (ან „პოსადი"), ჰყავდეს მას წარმომადგენელი, მისს უფლებათა დამცველი, მაშინ ვნახავდით, ამოიღებდა ხმას თუ არა ჩვენი წარმომადგენელი. თუ ზემოხსენებული კანონი არ უმაგრებდეს წელს უგანათლებულესს თავადს სამეგრელოისას (მინგრელსკის), მაშ რად უჩივის ის რკინის გზის გამგეობას ზარალს მამულის გაჭაობებისათვის და თხოულობს საზღაურს?.

რითი ხელმძღვანელობს ტფილისის ქალაქის გამგეობა, რომ ამავე რკინის გზას სთხოვს: გადასასვლელები გამართეთ ტფილისის სადგურიდგან დაწყებულიო?

დიაღ, კანონი არსებობს, ზესტაფონს ხმის ამომღები არავინა ჰყავს.

ვ. სეფისპირელი

## მცირე ცნობა წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლის შესახებ.

ეს სასწავლებელი დაუთვალიერებია ბ-ნს ვ. გეევსკის, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების ინსპექტორს ამ ივნისის თვეში და თავისი აზრი სასწავლებლის შესახებ თავისის ხელით ჩაუწერია სკოლის დავთარში. ამ სკოლის ბედ-იღბალი იმდენად საყურადღებოა ყველა ქართველისათვის, რომ სიამოვნებით ვბეჭდავთ ბ-ნის ვ. გეევსკის აზრს სავსებით. აი რასა სწერს იგი:

„7 ივნისს, 1899 წელს მე დავესწარი მოსწავლეთა გამოცდას სასოფლო-სამეურნეო სკოლისას ს. წინამძღვარიანთ კარში, რომელნიც წელს ამ სასწავლებელში სწავლას ამთავრებენ სასოფლო-მეურნეობის საგნებისას: ბაღოსნობისა, ბოსტნის გაშენებისა, ვაზის. მოვლა-მოშენებისა, ღვინის დაყენებისა და პრაქტიკულ გეომეტრიისას, დავათვალიერე ყველა მოწყობილება სკოლისა და ვალად ვრაცხ ჩემ თავს გამოვთქვა ჩემი აზრი ამ სამეურნეო სკოლის ავ-კარგიანობის შესახებ.

„ჩვენ კითხვაზე მოსწავლენი დიდის დაბეჯითებითა და ცოდნით გვაძლევდნენ პასუხს იმ წესსა და რიგზედ, რომელიც სკოლის პროგრამაშია ნაჩვენები; ამ საგნებში იმათ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამოიჩინეს. ამისთანა კეთილ-მსვლელობა მოსწავლეებისა, იმათი ნამდვილი სწავლის მიზეზი გახლავთ იმათი მასწავლებელი, აღზრდილი წინამძღვრიანთ კარის სკოლაშივე, ბ-ნი ხუნდაძე, რომელსაც თავისი სწავლა და ცოდნა განუვითარებია საიმპერატორო ნიკიტის საბაღოსნო ღვინის დაყენების სასწავლებელში. მოსწავლენი თავისუფლად გვიპასუხებდნენ რუსულ ენაზედ.

„სკოლის მზრუნველმა ცალკ-ცალკე სახლი მაშინ ააშენა თურმე, როდესაც სასწავლებლის საჭიროება იმას მოითხოვდა. დღეს სკოლას აქვს კლასები, კაბინეთი (ზოგიერთის ძვირფასის ნივთებით), წიგნთ-საცავი, სასადილო ოთახი, სახელოსნოები: სადურგლო, სასტოლიარო, საჩილინგრო და სამჭედლო, სადგური ყმაწვილებისთვისა, მასწავლებელთათვის და იმათ მმართველისათვის. მზრუნველს სკოლისას თლილის ქვის მშვენიერი გეგმის ეკკლესიაც აუშენებია. სახელოსნოში ვნახე მშვენიერი ნივთები, ნაკეთები მოსწავლეთაგან. ყველა სადგურის ოთახები ფართოა.

„თვალთ საჩინოდ ეჩვენება ადამიანს თავისის მოწყობილობით სკოლის მარანი და აბრეშუმის ჭიის ოთახი. მოსწავლენი ღვინოს ევროპიულად აყენებენ. ჭაშნიკი კასრიდგან ამოღებული ღვინისა დიდის სიკეთისა აღმოჩნდა, მეტადრე წითელი ღვინო. ყველა დამეთანხმება, რომ ამ სკოლამ მთელს მაზრაში თავი იჩინა. მარანის შენობა ჯერ სრულიად არ არის დამთავრებული. აბრეშუმს მოსწავლენი იმ წესზედ აშენებენ, როგორც ამას სწავლა-მეცნიერება მოითხოვს. აბრეშუმის ჭია ჯან-მრთელია, ავადმყოფობა არ ეტყობა. თუმცა სკოლის ფერმაში ევროპიულად და წესიერად გაშენებულია: ვენახი, ბაღი, ახალშენი ხეხილისა და ბოსტანი, მაგრამ ყველა მცენარეს ატყვია ნიშანი სეტყვისა, რომელიც ყოფილა აქ 22 მაისს. დიდ სეტყვას სრულიად გაუნადგურებია ვაზი, დიდი ზარალი მიუცია სკოლისთვის, ხელიდგან გამოუცლია ვენახის მოსავალი, რომელსაც სკოლა მოელოდა, და ამით ნივთიერი ძალ ღონე სკოლისა გაუნადგურებია.

„სკოლის მიწები ევროპიულის გუთნებით იხვნის, მაგრამ ეს საქმე სრულიად არ არის ჯერ დამთავრებული, რადგანაც მიწა ფერმისა ყველა სამეურნეო მოწყობილებას არ ეყოფა. სკოლის ყველა სამეურნეო საქმე რომ ნამდვილ ნიადაგზედ დადგეს, სასწავლებლის დამფუძნებელი მზადაა უძღვნას საკუთრებად ფერმას თავის მამულებიდგან კიდევ მიწები, როგორიც უძღვნა დაარსების დროს.

„ეხლა სკოლას საწველ და მუშა საქონლის ბოსლის აშენება ეჭირვება. თუმცა სკოლას სხვა-და-სხვა შენობებიც სჭირია, მაგრამ განცვიფრებული დარჩება ადამიანი ყოველის ნახვისაგან და იფიქრებს: სუყველა ასე მცირე საშუალებით როგორ მოახერხა მზრუნველმა სკოლისამ ილ. ი. წინამძღვრიშვილმაო. ყველა დამეთანხმება, ვისაც-კი სამეურნეო სკოლის მოწყობილება უნახავს და მისი საჭიროება ესმის, რომ 5,000 მ., რომელიც დღეს სკოლას ბანკიდგან ეძლევა, ისე მცირეა, რომ სკოლის ყოველ საჭიროებას ვერ დააკმაყოფილებს, რადგანაც მასში ხუთი მასწავლებელი, ორმოცდა ათი მოსწავლეა, რომლებიც საზოგადო განათლებისა და სპეციალურ-სამეურნეო საგნებსა სწავლობენ. წრფელის გულით და დარწმუნებით ვაღვიარებ, რომ სკოლას დახმარება ეჭირვება და ამის ღირსი არის კიდეც. ამას მე ვამბობ ასე კადნიერად იმიტომ, რომ ჩემის თვალით ვნახე სკოლის მომართულება, იმისი ვენახი, ბაღი, ხეხილის ანაშენი და სახელოსნო. დარწმუნებული ვარ, რომ, თუ სკოლას მხარი მიეცა, უფრო მეტად აღყვავდება და ყველა თავისს სამე-

ურნეო საგანს საკეთილოდ განავრცელებს და დაამთავრებს. ჩვენ მხარეს ძალიან ეჭირვება სამეურნეო სასწავლებელი და ამისთვის ყოველივე ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ეხლანდელი დაარსებული სამეურნეო სასწავლებელი ხელიდგან არ გამოგვეცალოს. გამოცდას დაესწრო აგრეთვე ტფილისის საბალონო სკოლის მასწავლებელი.

ინსპექტორი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა ვ. გეევსკი

# რუსეთი

— გზათა მინისტრმა საჭიროდ დაინახა გადასინჯულ იქმნას რკინის გზებით რიკინის გზის მსახურთა და მათის ოჯახების მუქთად მგზავრობის წესები. ამ საქმისათვის არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია რკინის გზების დეპარტამენტში.

— საერო განათლების სამინისტრომ დაადგინა, რომ პროვინციების კერძო სასწავლებლებში მოსწავლეთა გამოცდა მოხდეს ხოლმე ადგილობრივ სახელმწიფო სასწავლებელთა მასწავლებლების თანდასწრებით.

— შინაგან საქმეთა სამინასტრომ შეიტანა სახელმწიფო საბჭოში პროექტი ხალხისათვის სურსათის მოპოების შესახების წესდებისა. პროექტის უმთავრესი მნიშვნელობა ის არის, რომ საერობო დაწესებულებათ ამ პროექტის მიხედვით არ შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ ხალხისათვის სურსათის მოპოვების საქმეში.

— რუსეთში დაარსდა „მშვიდობიანობის მოყვარეთა“ საზოგადოება; წევრთა რიცხვი სულ უფრო მრავლდება. ჩაეწერა, სხვათაშორის, რამდენიმე პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა. საზოგადოებას საგნად აქვს გაავრცელოს, რაც შეიძლება ფართოდ, მშვიდობიანობის აზრები, რისთვისაც საზოგადოება გამართავს საჯარო ლექციებს, გამოსცემს და გაავრცელებს წიგნებს მშვიდობიანობის შესახებ, დასასრულ, გამოსცემს განსაკუთრებულ ჟურნალს.

— კამენეც-პოდოლსკის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრის გლეხებმა შესწირეს დამშეულთა სასარგებლოდ რამდენიმე ათასი ფუთი ხორბალი და ათს ვაგონზედ მეტი სუხარი. რამდენსამე სასოფლო საზოგადოებას დაუდგენია გადასდოს დამშეულთა სასარგებლოდ პური სასურსათო მაღაზიებიდგან და ფული საზოგადო თანხებიდგან.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** დეპუტატთა პალატამ 1 ივნისს დასცა დიუპუის კაბინეტი და მას მერმეთ დღემდის კიდევ არა გმკვდარა სამინისტრო კრიზისს. პირველად პუანკარე მიიწვია რესპუბლიკის პრეზიდენტმა ახალ კაბინეტის შესადგენად და საზოგადოებასაც ასე ეგონა, რომ ის მოახერხებდა ამ ძნელ საქმეს, მაგრამ მეცადინეობამ ტყუილად ჩაუარა პუანკარეს და მის მომხრეებსაც იმედი გაუცრუვდათ. როგორც გაზეთები ამტკიცებენ, პუანკარეს შემდეგი მიზეზისა გამო ვერ მოუხერხებია სამინისტროს შედგენა:

იმას სდომებია კაბინეტის წევრებად რიბო, სარიენი და ბარტუ, მაგრამ ამათ კანდიდატურას საერთო ოპოზიცია გამოუწვევია. როგორც ვიცით, სარიენს იუსტიციის მინისტრის ადგილი ეჭირა ბრისონის უკანასკნელ კაბინეტში; ამ დროს მან დრეიფუსის საქმეში ორჭოფობა გამოიჩინა. მართალია ამ საქმის გადასინჯვის მოთავეთ მხარი მისცა, მაგრამ ყველა ატყობდა, რომ ეს ძალაუნებურად მოუვიდა, თორემ ნამდვილად კი არც აქეთ იყო და არც იქით. ასეთმა საქციელმა ბევრი მტერი მოუპოვა მას, როგორც რადიკალებში, ისე ოპორტიუნისტებში. დღეს პალატა და ქვეყანა ისეთს კაცს დაეძებს, რომელმაც საშუდამოდ უნდა ბოლო მოუღოს დრეიფუსის საქმეს და ამით ქვეყანა მოასვენოს, და, რაღა თქმა უნდა, სარიენისთანა ორჭოფა კაცს შინაგან საქმეთა მინისტრად არავინ მოიწონებს, გარდა მისი მახლობელ მეგობრებისა. ამაზედ არა ნაკლები ოპოზიცია გამოუწვევია რიბოს კანდიდატურას. ამ სახელმწიფო მოღვაწემ ამას წინად დაიყოლია პალატა, რომ გენერალი მერსიე პასუხის გებაში არ მიეცათ დრეიფუსის საქმის დამთავრებამდე. ეს გარემოება გულში ჩარჩათ მემარცხენეთ და აი ეხლა სამაგიერო გადაუხადეს. მაგრამ ბარტუს კანდიდატურამ ყველაზედ უფრო აადელვა რადიკალები. ამ უკანასკნელთ პირდაპირ განუცხადეს პუანკარეს, რომ ბარტუს თუ რომელიმე პორტფელი ჩააბარე, ჩვენი იმედი ნუღარ გექნებაო. ასეთი გადამტერება რადიკალების მხრით საკვირველიც არ არის, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ შარშან ბარტუმ, როცა ის შინაგან საქმეთა მინისტრად იყო მელინის კაბინეტში, ძალ-მომრეობა იხმარა საპარლამენტო არჩევნების დროს და ამის გამო რადიკალთა ბევრი კანდიდატი გაშავებულ იქმნა. ამ ნაირად კოალიციური სამინისტროს შედგენა ვეღარ მოახერხა პუანკარემ, ყოველივე მისი მეცადინეობა ამის შესახებ უნაყოფო გამოდგა, და პრეზიდენტს განუცხადა, — სხვას მიანდე კაბინეტის შედგენაო.

—

**ინგლისი.** როგორც ეტყობა, ინგლისის მთავრობას გადაწყვეტილი უნდა ჰქონდეს ტრანსვაალის საქმის დამოშმინება. ამას წინად ბევრს ასე ეგონა, რომ შეიძლება ომიც ასტყდეს ამ ორ სახელმწიფოს შორისო. ინგლისის გაზეთები ამხედრდნენ ტრანსვაალისა და მისის პრეზიდენტის კრიუგერის წინააღმდეგ; ინგლისის არსენალებსა და თოფხანებში რაღაც მოძრაობა შეიქნა; ტელეგრაფი საეჭვო ამბებს ჰფენდა ქვეყნიერებას ინგლისის საომრად მზადების შესახებ; მაგრამ, რა-კი პატარა ტრანსვაალი არ შეუშინდა ამ მუქარას და თითონაც საომრად მზადება დაიწყო, ამ უკანასკნელ დღეებში ყველამ ხმა გამოიცვალა ინგლისში და სულ სხვა კილოზე დაიწყო სიმღერა. ამასთან ერთად ახალშენთა მინისტრს ჩემბერლენსაც მშვიდობიანობა დაეტყო, რომელიც სხვა მინისტრებზედ უფრო ემტერება კრიუგერს, რომელმაც გამოაშკარავა ჩემბერლენის მონაწილეობა ჯემსონის შეთქმულობაში ტრანსვაალის წინააღმდეგ. ხმაც-კი გავრცელდა, რომ ჩემბერლენი დრობით შვეიცარიაში აპირებს წასვლასაო. ეს ხმა შეიძლება სიმართლეს მოკლებული იყოს, მაგრამ იმის მაჩვენებელია, რომ ახალშენთა მინისტრი დამარცხდა მინისტრთა საბჭოში. იმის წინადადება, რომ დაუყოვნებლივ სასტიკი ღონისძიებანი იქმნას მიღებული ტრანსვაალის წინააღმდეგო, უარ-ჰყო სამინისტრომ 12 ხმით 8 ს წინააღმდეგ. ამ ნაირად ბალფურმა დაამარცხა თავისი დიდი ხნის მეტოქე — ჩემბერლენი. დღეის შემდეგ ინგლისი მშვიდობიანად დაუწყებს მოლაპარაკებას ტრანსვაალის მთავრობას და ამ საშუალებით, უეჭველია, უფრო დაუახლოვდება თავისს მიზანს.

# დამაკვირდი

მეგობარი მხოლოდ იმ დრომდე გმეგობრობს, ვიდრე შენგან გამოელის რასმეს.

ბ. დ—შვილი

* * *

ვაა ქვეყანასა მას, რომელიცა უპურიან მრავალთა.

ალექსანდრე მაკედონელი

* * *

უფალი ამპარტავანთა შემუსრავს და მდაბალთა მოსცის მადლი.

გიორგი VII

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორს ფრაზერს გამოუკვლევია, რომ საუკეთესო საშვალებად გველის შხამის წინააღმდეგ გველისავე ნაღველა ყოფილა. ფრაზერი რამდენიმე წელიწადია ამ საყურადღებო და საინტერესო საგნის გამოკვლევას შესდგომია. როგორც ვიწყით, დღემდის მკურნალობას ისეთი წამალი ვერაფერი გამოუკვლევია, რომელსაც გველის შხამის წინააღმდეგ შეეძლოს ბრძოლა და ამ შხამის მავნე თვისების გაშრობა. ფრაზერს რამდენისამე პირუტყვისათვის შეუსხავს კან ქვეშ იმდენი შხამი, რამდენიც საკმაოა 100 და 200 ასეთის ცხოველის მოსაწამვლად, მაგრამ რადგანაც შხამი ნაღველაში ყოფილა არეული, ძალა დაჰკარგვია და ვერაფერი ვნება ვერ მიუყენებია პირუტყვისათვის. ფრაზერს პირველ ხანს ჰგონია გველის შხამის განმაქარწყლებელი თვისება მხოლოდ გველისავე ნაღველას აქვსო. ამიტომ შეუძენია აფრიკის სხვა-და-სხვა ჯიშის გველების შხამი და თავის გამოკვლევებში უხმარია. აფრიკაში არის ერთგვარი დიდი გველი, სახელად კობრი, რომლის ცოტაოდენი შხამიც-კი ადვილად სწამლავს როგორც კაცს, აგრეთვე პირუტყვს. ფრაზერის გამოკვლევით, 0,00025 გრამი ამ კობრის შხამისა ხელად უსპობს სიცოცხლეს კურდღლის ბაჭიას. ფრაზერს აუღია ამდენი შხამი, აურევია იგი გველისავე ნაღველასთან და შემდეგ შეუსხურებია კურდღლის ბაჭიისათვის. თუმცა ნაღველა 25 ნაკლები ყოფილა შხამზედ, ბაჭია მაინც არ მოწამლულა და საზოგადოდ შხამს არავითარი გავლენა არა ჰქონია მასზედ. შემდეგ ფრაზერს აუღია მეტი შხამი, აურევია ნაღველასთან და შეუსხავს კან ქვეშ ბაჭიისათვის, მაგრამ შედეგი იგივე ყოფილა, რაც პირველ შემთხვევაში. პირველ ხანს ფრაზერს შხამიანის გველისავე ნაღველა უხმარია, შემდეგ უფიქრია, იქნება არა შხამიანის გველისა და რომლისამე პირუტყვის ნაღველმაც გასჭრასო და მართლაც გამოკვლევას დაუმტკიცებია, რომ გველისა და სხვა მცოხნელ პირუტყვის ნაღველი ისევე უკარგავს ძალას შხამს, როგორც შხამიანის გველის ნაღველი. ამ რიგად ფრაზერი დარწმუნებულა, რომ ერთად არეული ნაღველი და შხამი ძალას უკარგავს შხამს. შემდეგ იმის გამოკვლევას შესდგომია, შეუძლიან თუ არა ნაღველს გაჰკურნოს უკვე დაშხამული კაცი ან პირუტყვი, ესე იგი ისეთივე ძალა აქვს ნაღველს თუ არა ცალკე, როგორიც შხამთან არეულს და ამ შემთხვევაშიაც იგივე კარგი თვისებები გამოუჩენია ნაღველს. განსხვავება მხოლოდ ისა ყოფილა, რომ მეტი ნაღველი ნდომებია მხოლოდ. ამასთან სულ ერთია ნაღველს დაალევინებთ, თუ კან ქვეშ შეასხამთ, ორსავე შემთხვევაში დაშხამული საუკეთესოდ იკურნება. მკურნალებს ეხლა აზრადა აქვთ გამოსცადონ, როგორ იმოქმედებს ნაღველი არა მარტო გველის, არამედ სხვა შხამზედაც.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 ივნისი

**ბერლინი.** იმპერატორმა უბოძა სტატს სეკრეტარს ბიულოვს გრაფობა.

**პარიჟი.** თათბირის შემდეგ, ვალდეკ-რუსოს თანაშემწეები ელისეს სასახლეში წავიდნენ. სამინისტრო სრულიად შესდგა: ვალდეკი არის პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, დელკასე—გარეშე საქმეთა მინისტრი, გენერალი გალიფე—სამხედრო, ლანესანი—ზღვათა, მონისი—იუსტიციის, კალიო—ფინანსთა, მილიერანი—ვაჭრობის, ლეიგი—საერო განათლებისა, დეკრე—ახალშენთა, ჟაკ დიუპუი—მიწად-მოქმედებისა, ბედენი—საზოგადო მუშაობისა.

**პარიჟი.** მუჟო ისევ დარჩება ფოსტა-ტელეგრაფის სტატს სეკრეტარის თანაშემწედ. ახალი მინისტრები შეიკრიბებიან ხვალ ელისეს სასახლეში, ლუბეს თავმჯდომარეობით. ამბობენ, რომ სამინისტრო დეკლარაციაზედ ადრე ღონისძიებანი იქმნება მიღებულიო ზოგიერთ სამხედრო მოხელეთა წინააღმდეგ, რომელთაც გადააჭარბეს სიტყვით ანუ კალმით, რასაც შეუძლიან შეასუსტოს სამხედრო დისციპლინაო. გენერალ მეტცინგერს ხელს არ ახლებენ, მაგრამ გენერალი გარდშმიდტი და პოლკოვნიკი საკსე პასუხის გებაში მიეცემიან. როგორც ამბობენ, სამინისტრო დეკლარაციაში განცხადებული იქმნება მხოლოდ, რომ კაბინეტს სურს საფრანგეთი გამოიხსნას ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობიდგანო; პარლამენტს სთხოვს, რომ იმან მხედველობაში იქონიოს კაბინეტის მოქმედება, და არა იმის კერძო წევრები და დახმარებას მოსთხოვს ყველა რესპუბლიკელსო.

**სოფია.** გუშინ ქუჩაზე მოჰკლეს საეროვნო კრების ბიუროს ერთი უმცროსი მოხელე. ჰფიქრობენ, რომ მკვლელები სოციალისტები უნდა იყვნენო.

**პარიჟი.** ზომიერი და რესპუბლიკანური გაზეთები ამბობენ, რომ ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს წევრებმა ძლიერ გააკვირვეს საზოგადოებაო. რადიკალური და რევიზიონისტთა გაზეთები გამარჯვებას ულოცავენ ვალდეკს, რომელმაც ასეთი გაბედულობა გამოიჩინა. სოციალისტთა გაზეთებიც ამასვე ამბობენ. „Matin“-ი აცხადებს, რომ გალიფე ეხლავე დანიშნავს ბრიუჟერს ცურლინდენის ადგილასაო, თხოვნის შემოუტანლად დაითხოვს სამსახურიდგან ბუადეფრს და გონზს, შტატს გარეში დაანარჩუნებს პელიეს და პარიჟიდგან განდევნის როჟესო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

აკეთის სამკითხველოს გამგემ ბ-ნმა ჯამულეთი ბაქუნაიშვილმა „ივერიის“ მე-93 №-ში მოათავსა წერილი შესახებ რწმუნებულის მისდამო სამკითხველოს ავ-კარგისა და, სხვათა შორის, ჩემ სახელსაც წაეპოტინა. სამკითხველოს დაქვეითებაში მეც ბრალი დამდო. „სამკითხველოს მოვლა-პატრონობა მიანდეს და ყურადღების მიქცევა სრულიად არ ინებაო“, — გესლიანის ზრდილობით თუ ზრდილობიანის გესლით ჰბრძანებს ბ ნი ბაქუნაიშვილი ჩემ შესახებ. ჩიტი რომ ბდღვნად ჰღირდეს, სიცოცხლე გაქვთ, ბ-ნ ბაქუნაიშვილს ბევრი ხოტბა ვუძღვნათ უყურადღებობისა და უუნარობისათვის, რაიცა მას ღირსეულად დამსახურებული აქვს ამ სვე-უბედურის სამკითხველოს წინაშე. მაგრამ ისიც ხათაბალაა, რომ ამ შემთხვევაში ჩემის მხრით სიჩუმეც მოუხერხებელია; ალბად დამნაშავე იყო და იმიტომაც კრინტი აღარ დასძრაო, იტყვიან ზოგიერთები. ეს უკანასკნელი მოსაზრება მაიძულებს ვსთხოვო ბ-ნ ბაქუნაიშვილს პასუხი მიგოს შემდეგ კითხვებზედ:

ა) როდის დამნიშნეს სამკითხველოს მომვლელ-პატრონად და რა უფლება-რწმუნებით აღმჭურვეს ამ პასუხ-საგებ საქმეში?

ბ) რა ჩამაბარა ბ-ნმა ბაქუნაიშვილმა, როგორც სამკითხველოს წინანდელმა გამგემ, და ჩემის უყურადღებობით რა დავკარგე, რა დავაბნიე?

გ) როცა მე სამკითხველოს მოვლა-პატრონობა მომანდეს, მაშინ ბ-ნი ბაქუნაიშვილი ისევ განაგებდა სამკითხველოს საქმეებს, თუ არა?

დ) მქონდა თუ არა ოფიციალური ნიადაგი ანუ საფუძველი, რომ სამკითხველოსთვის მოვლა-პატრონობა გამეწია?

ყოველისავე ამის შესახებ ბ-ნ ბაქუნაიშვილს, რომელიც ისეთის რიხითა და გაბედვით მაბრალებს უყურადღებობას სამკითხველოს სიმართ, ალბად საყურადღებო რამ საბუთები ექნება და ამ საბუთების ან ნამდვილი, ან ჯეროვანის წესით შემოწმებული ასლი წარმოუდგინოს რედაქციას. უკეთუ გავმტყუნდე და ბრალი დამედოს, დანაშაულის შესაფერი სასჯელი გადამიწყვიტოს მკითხველმა საზოგადოებამ, თუ არა და ბ-ნმა ბაქუნაიშვილმა დაისაკუთროს სასიქადულო სახელი ცილის-მწამებელისა.

მღ. ლავრენტი წულაძე

## „ივერიის“ ფოსტა

—

**ი. და—შვილს.** ლექსი „მოხუცის გოდება“ არ დაიბეჭდება.

**დ. მ—ლი. ინწკირველს.** არ დაიბეჭდება.

**ს. ნ—რი. ახალმოზარდს.** არ დაიბეჭდება.

**ვ. გულგულელს.** არ დაიბეჭდება.

**მ. ალ—ვიძეს.** არ დაიბეჭდება.

**გ. თოფურიძეს.** მოგიცლიათ, გეტყობათ საქმე არა გქონიათ.

**ძ. ტ—სი. ჯ. პ. მ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ა.—ს.—ტ. კ—შვილს.** არ დაიბეჭდება.

**ი. ს—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ძ. გ—ა. ფ. უ—ნს.** არ დაიბეჭდება.

**განანის.** არ დაიბეჭდება.

**თ. ი. ნ—შვილს** არ დაიბეჭდება.

**ძ. ა—ოვს.** არ დაიბეჭდება.

**ძ. ძ—სი ჭეშმარიტ „თანამგრძნობელს ოპოზიციისას.** არ დაიბეჭდება.

**კ. ს—შვილს.** თქვენს „დამაკვირდებს“ დასაკვირვებელი არა აქვთ-რა.

**მ...წაფეთაგანს.** არ დაიბეჭდება.

**რ. ბ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

განცხადებანი

„ტფილისის სობრანიე“

იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს **ბუფეტისა და სამზარეულოს** წარმოება იკისროს. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება „სობრანიის“ კანტორაში ყოველდღე სალამოობით 9-დგან 12 საათამდე.

(3 82—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ 12-го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე